ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №6

02.02.2022 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

13:00 სთ

**სხდომას ესწრებოდნენ:**

**გარემოს დაცვის კომისიის წევრები:** ნიკოლოზ კახეთელიძე (კომისიის თავმჯდომარე), ვლადიმერ ბოჟაძე, ნინო ვარდოსანიძე, ლევან აბაშიძე, შოთა გრიგოლია, სალომე კობალაძე, ვახტანგ სურგულაძე.

**სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:**

**საკრებულოს წევრები:**

1. **რევაზ სოხაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. **გიორგი ტყემალაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. **ზურაბ აბაშიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. **ლილე ლიპარტელიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. **მამუკა გუგეშაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
6. **ზაზა თავაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
7. **ლევან ჟორჟოლიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
8. **ანა გოგოლაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
9. **გიორგი ონიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

**მოწვეული სტუმრები:**

1. **გიგა გიგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი);
2. **ვიქტორ წილოსანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსი;
3. **ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;

4. **თეიმურაზ ბოლოთაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსი.

**სხდომის გახსნამდე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბ-ნმა რევაზ სოხაძემ დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და აცნობა, რომ მიმდინარე სხდომა (სამუშაო შეხვედრა) გაიმართება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დაცვით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების მუხლი 30), ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის, ასევე, გარემოს დაცვის კომისიების ერთობლივი სხდომის ფორმატში.**

**გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა:** ნიკოლოზ კახეთელიძე (კომისიის თავმჯდომარე).

**სხდომის დღის წესრიგი:**

1. სამუშაო შეხვედრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს საქალაქო სამსახურებთან

/**მომხსენებლები:** ვიქტორ წილოსანი, ნინო ბაგაშვილი, გიგა გიგაშვილი, თეიმურაზ ბოლოთაშვილი/

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი ნიკოლოზ კახეთელიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

**მოისმინეს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი** - სამუშაო შეხვედრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის არქიტექტურის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს საქალაქო სამსახურებთან

შეხვედრის დასაწყისში აღინიშნა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დედაქალაქის მიწათსარგებლობის ახალი გენერალური გეგმის მიღების შემდეგ, დაბა წყნეთში, სამშენებლო სივრციდან არასამშენებლო სივრცეში გადატანილი იქნა ტერიტორიები და ახალი გენერალური გეგმით ამ არეალებზე განაშენიანების (სამშენებლოდ განვითარების) შემზღუდავი ფუნქციური ზონები ვრცელდება. იმისთვის, რომ გათვალისწინებული და ასევე, დაცული იქნას მუნიციპალიტეტის, საზოგადოებისა და კერძო მესაკუთრეთა ინტერესები, საჭიროა, ქალაქგეგმარებითი განვითარების თვალსაზრისით ამ არეალების დეტალური შესწავლა.

**განსახილველი საკითხი წარმოადგინა** ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ პრეზენტაცია წარადგინა, რომლის მიხედვითაც, საკრებულოსა და კომისიის წევრებმა, დაბა წყნეთში, რამდენიმე არეალზე არსებული მდგომარეობა, ფუნქციური ზონების ცვლილებები და საკადასტრო რეგისტრაციები განიხილეს.

როგორც სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსა და ასევე, შეხვედრის მონაწილე მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, თითოეული არეალი და ამ არეალში მოქცეული კონკრეტული საკადასტრო მიწის ნაკვეთები დეტალურად არის შესწავლილი.

სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წარმომადგენლის, ქ-ნი ნ. ბაგაშვილის ინფორმაციით, უფლებამოსილი მესაკუთრეების მიერ, მათი კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით, აღნიშნულ არეალებში მოქცეულ ზოგიერთ მიწის ნაკვეთზე მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება.

განსახილველ საკითხთან და წარმოდგენილ პრეზენტაციასთან დაკავშირებით **აზრი გამოთქვეს:**

საკრებულოს წევრებმა: ბ-ნმა გ. ტყემალაძემ, ბ-ნმა რ. სოხაძემ, ბ-ნმა გ. ონიანმა, ქ-ნმა ლ. ლიპარტელიანმა.

კომისიის წევრებმა: ნ. კახეთელიძემ, ვლ. ბოჟაძემ.

**შეკითხვები დასვეს:**

საკრებულოს წევრებმა: ბ-ნმა გ. ტყემალაძემ, ბ-ნმა რ. სოხაძემ, ბ-ნმა გ. ონიანმა, ქ-ნმა ლ. ლიპარტელიანმა, ლ. ჟორჟოლიანმა.

შეხვედრისას აღინიშნა, რომ საკრებულოსა და კომისიის წევრებს, დაინტერესების შემთხვევაში, შეუძლიათ კონკრეტული არეალები და საკადასტრო ერთეულები შეისწავლონ ადგილზე.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნიკოლოზ კახეთელიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ნიკოლოზ კახეთელიძე